

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N001/15<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

ნანა ხეჩიკაშვილი (სტუდენტი)

### შეკითხვა

ადვოკატი „ა“ იცავს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირის ინტერესებს. აღნიშნული პირის მშობელთან კი იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაა გაფორმებული. მშობელმა გადაწყვიტა, რომ საქმეში სხვა ადვოკატი ჩაერთო. თუმცა საქმეში არ დაუფიქსირებია ადვოკატ „ა-ს“ აცილების შესახებ, არც დასაცავი პირის ნებაა ცნობილი. საქმეში ჩართულმა ახალი ადვოკატმა გარკვეული მიზეზების გამო უარი განაცხადა მტკიცებულების გაცვლის ეტაპზე, საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობაზე. უნდა იმოქმედოს თუ არა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატმა „ა-მ“?

### ანალიზი

დაცვის განხორციელებისას ადვოკატის ვალდებულებაა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება ადვოკატს ვალდებულებებს, ის უშუალოდ წარმოიშობა იმ პირის მიმართ, ვისი დაცვაც უნდა განახორციელოს ამ ხელშეკრულების თანახმად. შესაბამისად, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობად ითვლება ადვოკატისა და იმ პირის ურთიერთობა, უშუალოდ ვისი სახელითაც მოქმედებს ადვოკატი, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში საკმარისი არ იქნებოდა მხოლოდ მშობლის სურვილი მომხდარიყო ადვოკატის შეცვლა, არამედ უშუალოდ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ პირთან უნდა მოხდეს შეთანხმება. კლიენტის მიმართ გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვაც უშუალოდ მის წინაშე ეკისრება. ადვოკატს ევალება დაუკავშირდეს კლიენტს, პირადად მას განუმარტოს საადვოკატო მომსახურებაზე უარის თქმის მოტივი და კლიენტთან შეათანხმოს გადაწყვეტილება. თუ ადვოკატი ვერ მოახერხებს აღნიშნული საკითხის დაზუსტებას მტკიცებულებათა გაცვლის ვადის დადგომამდე, მაშინ უნდა განახორციელოს კლიენტის ინტერესების დასაცავად საჭირო საპროცესო მოქმედება, რადგან ჩვენთვის უცნობია დასაცავ პირს სურს თუ არა ადვოკატ „ა-სთან“ ურთიერთობის შეწყვეტა. ასეთი ქმედებით, ადვოკატი „ა“ თავიდან აიცილებს ეთიკური ნორმების შესაძლო დარღვევის შემთხვევას.

### დასკვნა

ადვოკატს აქვს ინფორმაცია მხოლოდ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მხარისაგან ანუ დასაცავი პირის მშობლისაგან და ის არ ფლობს ინფორმაციას თავად დასაცავი პირის ნების შესახებ. ადვოკატმა უშუალოდ კლიენტისაგან უნდა შეიტყოს ინფორმაცია მისი ნების შესახებ. სანამ დააზუსტებს ამის შესახებ ინფორმაციას, რომ არ მოხდეს ეთიკური ნორმების დარღვევა კლიენტის ინტერესების დასაცავად საჭიროა გარკვეული საპროცესო მოქმედებები განახორციელოს.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c91e6233dea9.pdf/22%20January%202015%20001.15.pdf>